თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3054509

ნომერი: AR1470813

თარიღი : 16.01.2017

გაცემის თარიღი : 20.01.2017

გაცნობის თარიღი : 24.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდხევის დაღმართსა და მარცხენა სანაპიროს შორის, (ნაკვ. 37/004) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ასმათი სუმბათაშვილი პ/ნ 05001000841
- თბილისი დიდხევის ქ. დაღმ. N 1-3/2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1470813 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ქ. თბილისში, #01.16.05.037.004 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვასთან დაკავშირებით, ასევე ითხოვთ აღნიშნულ მისამართზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ასლს.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 24 ოქტომბრის #2904413 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი–ჩუღურეთი), დიდხევის დაღმართსა და მარცხენა სანაპიროს შორის, (ნაკვ. 37/004), შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ამასთან გაცნობებთ, ქ. თბილისში, #01.16.05.037.004 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით #2904413 ბრძანების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 2 ლარის და 40 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულიდან (მე-9 ოთახი), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 1 ალბომი.

გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:

1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1470813 16.01.2016წ.)
